„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible]-ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალბილო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

## ქართული თეატრი

დღეს, იანვრის 30-ს.

ბენეფისი კნ. ბ. ა. ავალოვისა ქართულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ანუკა ბატონიშვილი**

დრამა 5 მოქმედებად გადმოკეთებული დ. მესხისა.

II

ორი სცენა შექსპირის ტრაგედიიდან

**მაკბეტი**

(შეთქმა და მკვლელობა მეფისა)

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

თბილისი, იანვრის 30-ს.

განაპირა ადგილების და საზღვრების გამაგრება შეადგენს ყოველ მმართებლობის განსაკუთრებულს მეცადინეობას. მარტო ციხეები და ჯარები ვერ გაამაგრებენ საზღვრებს. სახელმწიფომ უნდა მოჰკიდოს ამ შემთხვევაში ერთს ძლიერ სასარგებლო საშუალებას ხელი; ეს საშუალება უფრო სანდო, საიმედო და იაფიც არის: განაპირ ადგილებზე მცხოვრები ხალხის გულის მოგებით, სხვა-და-სხვა უფლებების მინიჭებით და დანაშთენ მცხოვრებლებთან მჭიდროდ დაკავშირებით შეგვიძლია ისეთი ზღუდე ავმართოთ, რომლის შემუსვრა მტერს გაუჭირდება.

ამას წინად ერთ-ერთ ჩვენს მოწინავე წერილში იყო ნაჩვენები ერთი საშუალებათაგანი: უმიწა-წყლო თავად-აზნაურობას და გლეხობას ვურჩევდით ბათუმის, ყარსის, არტაანის და სოხუმის მაზრებში გადასახლებას, და მმართებლობას,—რომ მსურველთა მიანიჭოს ყოველი გვარი შემსუბუქება და სახსარი, თუ კი ვინმე აღმოჩნდა ამ ჩვენი რჩევის მიმყოლი.

მართალია, უკანასკნელ ომის შემდეგ ქობულეთიდან, აჭარიდან და არტაანის მაზრიდან ბევრი გადვიდა ოსმალეთში, მაგრამ კიდე უმეტესი დარჩა. იქ წოდებრივი ურთიერთობა თითქმის ისეთია, როგორიც იყო ჩვენში უწინდელ დროს: თავად-აზნაურობას დიდი გავლენა აქვს დაბალ ხალხზე. ახლად შემოერთებულ მაზრებიდამ ერთიც არ მოგვშორდებოდა, რომ ზოგიერთი ბეგები და აღები არ აბარგულიყვნენ და არ გადასულიყვნენ სათათრეთში. ხალხიც იმათ გაჰყვა.

ჯერ-ჯერობით გამაჰმადიანებულ ქართველების შემოერთება ფორმალურია; ჩვენსა და იმათ შორის არ სუფევს ისეთი დამოკიდებულება და ურთიერთობა, რომელთაც შეეძლოსთ ბუნებრივის გზით ჩვენი დაკავშირება. თუმცა გამაჰმადიანებულ ქართველებს არ დაუვიწყნიათ ძველებურნი ჩვეულებანი, შეუნახავთ მამა-პაპული ენა, მაგრამ ორის-სამის საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურმა განშორებამ, განცალკევებამ, სარწმუნოების გამოცვლამ, გარეშე და უცხო პირობებში ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა მათ გულს, ხასიათს და მთელს იმათ ცხოვრებას. მაშასადამე ახლა უნდა ვეცადნეთ ისევ დაუახლოვდეთ, განვაღვიძოთ ძველებურნი გრძნობანი, განვაახლოთ კავშირი და დამოკიდებულება.

მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომელიც იმათთვის სასიამოვნოც იყოს და სასარგებლოც. თუ არ დავივიწყებთ, რომ უმაღლეს წოდებას ქობულეთში და აჭარაში ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს დაბალ ხალხზე, მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ ჩვენის განზრახვის მისაღწევად საუკეთესო გზა იქაურ ბეგებთან და აღებთან დაახლოვებაა. ეს დაახლოვება შეიძლება წოდებრივ უფლებების განსაზღვრებით და ბეგების და აღების იმერეთის, ან ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობასთან შემოერთებით, ესე იგი, იმ უფლებათა მინიჭებით, რომლითაც სარგებლობს საზოგადოდ მთელი რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურობა. როცა ისინი მიიღებენ მონაწილეობას ჩვენის მარშლების აღმორჩევაში, კრებებში ხმა ექმნებათ, მისვლა-მოსვლა უფრო გახშირდება, ჩვენ გაგვეცნობენ,—ეგრეთი ყურადღება მმართებლობის მხრით ასიამოვნებს იმათს თავ-მოყვარეობის გრძნობას, და გამოიწვევს იმათ მხრივაც სურვილს საზოგადოების და რუსეთის სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებაც იკისრონ. გაიღვიძებს ეროვნული ერთობა; ორნი ერთმანეთის მოყვარულნი ძმანი, დროთა ვითარებისა და ისტორიულის უსამართლოებისა გამო განშორებულნი, ხელ-ახლავ მოსჭიდებენ ერთმანეთს ხელს. თანაგრძნობა, ეროვნული ნათესაობა ისევ შეგვაკავშირებს, როცა იმათ და ჩვენ ერთი და იგივე ასპარეზი გვექნება გაშლილი სამოქმედოდ, რუსეთის მფარველობის ქვეშ. მაშინ თითონ ისინი ისურვებენ ჩვენკენ გამოწევას, ჩვენთან დაახლოვებას და თან გამოიყოლებენ ხალხსაც, რომელზედაც, როგორც ზევითა ვსთქვით, იქაურ მაღალ-წოდებას დიდი გავლენა აქვს.

ჩვენ კარგად არ ვიცით, შეუძლიან

---

«დროების» ფელეტონი, იანვ.-30ს

## სიმღერა

(რასტის ხმაზე)

ჩემის ბედისა ვარსკვლავმა
შორიდან ამომინათა,
სხივი მესროლა: გლახ გული
ჰყო იმედისა ბინადა,

ეჭვი გაჰფანტა სასტიკი,
ჰმუნვა მიცვალა ლხინადა,
გრძნობა ამაგრა და ვნება
მიქცია ფოლად-რკინადა.

აწ ვერა დამძლევს სისუსტე
და ვერც-ა უსასოება;
რაც დღემდი სიტყვით მიყვარდა,
ის საქმით შემიყვარდება;

მას ვუკმევ გუნდრუკს, ვაღმერთებ,
სანამ-და სული შემრჩება—
სამარეს იმედს წავიღებ,
რომ სატრფო არ მომიკვდება.

ცივსა საფლავსა მდებარეს,
შავის მიწის ქვეშ დაფარულს
ბულბული ჩამომიძახებს
და ამიძგერებს მკვდარსა გულს:

„ნუ-გეშის! შენსა სატრფოსა,
დღემდი ყოველს ბედს მოკლებულს
ვხედავ—ვით ვარდსა, ზამბახსა
ტურფად, საამოდ გაბადრულს...

გლ. მიქელაძე.

იანვრის 14-ს.

---

## პედაგოგიური შენიშვნა.

ვინ არ იცის რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრების წარმატებაში ჯერ საზოგადოდ აღზრდა-განვითარებას და განსაკუთრებით ოჯახურ აღზრდას. ოჯახური აღზრდა არის ის დედა-ბოძი, ის შეურყეველი ცხოვრების ბურჯი, რომელზედაც მყარდება კაცის მომავალი ბედი და უბედობა. ეს არის კაცის ზნეობითი, ფიზიკური და თითქმის გონებითი განვითარების წყარო.

ყმაწვილი, სანამ შვიდი-რვა წლისა არ შეიქნება, ოჯახში იზრდება და ვითარდება. ამ დროს ყმაწვილი ყოველისფერს ისე იზიდავს და ნერგავს თავის ნორჩ გონებაში, როგორც რაიმე მიმზიდავი საგანი. ის ზნეობა, ის აღზრდა-განვითარება და ჩვეულება, რომელიც მიუღია ყმაწვილის ბუნებას ამ პერიოდში, შემდეგ ძლიერ იშვიათად აღმოიფხვრება. ამისთვის არის, რომ დედის სკოლას, ე. ი. ყმაწვილის რვა-ცხრა წლამდის აღზრდა-განვითარებას დიდი მნიშვნელობა და ძნელი აღსასრულებელი მოვალეობა აწევს კისერზედ. ამ გვარმა სკოლამ უნდა ჩადგას მაგარი და საიმედო საძირკველი, რომელზედაც მყარდება შემდეგი გონიერი სწავლა-განათლება, თორემ რამდენადაც პირველ-დაწყებითი აღზრდა იქნება სუსტი, რასაკვირველია, მაზედ აშენებული სწავლა-განათლებაც იმდენადვე სუსტი და უსარგებლო იქნება. ეს თითქმის გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. ასე მაღალ მნიშვნელობიანია ოჯახური აღზრდა და ახლა ვნახოთ რამდენად ასრულებენ ამ მძიმე მოვალეობას ჩვენი დედები (განსაკუთრებით ნასწავლნი), რომლებსაც კისრად აწევთ მამულისათვის ღვიძლი შვილის აღზრდა.

ყველაზედ მეტი და საგრძნობელი გავლენა ყმაწვილებზედ, რასაკვირველია, მათს მშობლებს ექნებათ და განსაკუთრებით დედას, რომელიც თითქმის მუდამ ყმაწვილებთან ატარებს დროს და რომლის მაგალითი უფრო ღრმად ჩაენერგების ყმაწვილს გონებაში, ვიდრე მამის დარიგება ან სხვების მაგალითი. ოჯახური აღზრდა და განსაკუთრებით ზნეობითი დამოკიდებულია მშობლების გონებითს და ზნეობითს განათლებაზე. ჩვენში განათლებული დედები თუმცა იშვიათად არიან, მაგრამ რომელნიც არიან ისინიც ძლიერ გულ-ცივად ეკიდებიან ბუნებისგან მინიჭებულს თავიანთ ამ გვარს მოვალეობას, თითქო არ გრძნობდენ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში ნამდვილს მშობლიურს აღზრდას და განვითარებას. ჩვენმა დედებმა, თუ კი ღონის-ძიება ცოტას მაინც ნებას აძლევს, არ შეიძლება, რომ ოჯახებში ძიძები არ გაიჩინონ. თვითონ „ბალ-ვეჩერებში“ გა-

თუ არა იმერეთისა და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას და იმათ მარშლებს მიიღონ ამ აზრის ასრულებისათვის რაიმე განკარგულება, და თუ შეუძლიანთ, ვის, თუ არ იმათ შეშვენის ამ საქმის თაოსნობა იკისრონ და მომავალ მაისის კრებებში მოახდინონ მსჯელობა, გამოიკვლიონ ის საშუალებანი, რომელთა წყალობით გაადვილდეს ზემო მოყვანილ აზრის შესრულება, საქმედ გადაქცევა.

## შინაური ქრონიკა

=გამოვიდა № 302—305 ჩვენთვის თავდადებულის Востокъ-ისა. გაზეთის სათაურში ვკითხულობთ შემდეგს რედაქციულს შენიშნვას: „გასულის 1884 წლის აგვისტოს 1-დან ,,ვოსტოკი'' გამოდის 1882 წელში ბეჭდვისათვის გამოცემულ კანონების პირველ პარაგრაფისამებრ. 294—301 ნომრების გამოცემის შემდეგ ჩვენ გადავსწყვიტეთ დროებით შეგვეჩერებინა გაზეთის გამოცემა, მაგრამ ეხლა კი განვაახლეთ მკითხველთა თხოვნის გამო.''

,,ვოსტოკის'' ამ ნომერში ბევრი ცნობებია საქართველოს ეკლესიის შესახები. არის აგრეთვე უწმიდესის სინოდის პირველ-მჯდომარე წევრის მიტროპოლიტის იუბილეის ვრცელი აღწერა, რომელშიაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

«რა გააკეთა საქართველოს ეკლესიისათვის Iსიდორე მიტროპოლიტმა, ამის თქმას ჩვენ ეხლა შეუძლებელად ვხადით, მით უფრო რომ არა ერთჯერ გვილაპარაკნია ამაზე. არც ერთი ქართველი უარს არა ჰყოფს, რასაკვირველია, რომ მიტროპოლიტი Iსიდორე სიყვარულით ეპყრობოდა საქართველოს ეკლესიას, მტრულად არ ეხებოდა ქართველთა ჩვეულებას (не посягалъ на грузинскіе обычаи), განაახლა და აღადგინა არა მცირე ძველი ქართული სენაკები და ეკლესიები. მიტროპოლიტი Iსიდორე ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ღვთის მცნებით განათლებას, ამიტომაც შეიძინა [illegible] ქართული დაბადების ძველი ხელთ ნაწერი, ღონის-ძიება მიიღო მისს ახლად დაბეჭდვისათვის და შესწორების ტექსტში გადამწერთა წყალობით მომხდარნი ცდომილებანი. ეს ქართული დაბადება გამოვიდა წარსულს 1884 წელს.

=ბუშინწინ, ორშაბათს, მორიგს კრებაზე ქალაქის რჩევამ გადასწყვიტა, რომ ფაეტონებისა და დროჟკების სატარებელი ფასები, რომელთა შესახებ ცალკე კომისია იყო დანიშნული, შეუცვლელად დარჩნენ. ცხენის რკინის-გზის კონტრაგენტთან შეთანხმება გადასწყდა შემდეგ უმთავრეს საფუძვლებზე: ა) მატარებლების ვაგონები ერთისა და იმავე კლასისანი იქმნენ ჯერ-ჯერობით, ფასები უნდა დაედვას: ერევნისა და ვერის ხაზზე სამ-სამი კაპეიკი და სხვაზე თითო შაური; ბ) სამოგზაურო მატარებლებისა გარდა, ცხენის-რკინის გზის გამგეობამ უნდა გაიჩინოს საბარგო მატარებლები, რომელთა მსვლელობამ არაფერი არ უნდა დაუშალოს სამგზავრო მატარებლებს; გ) საბარგო მატარებლებისათვის სტანციების ადგილს ამოარჩევს თვით ქალაქის გამგეობა და დ) ცხენის-რკინის გზას მთელი მისი ქონებით, პირობისამებრ, ქალაქის საკუთრებად გადაქცევის დროს ქალაქის გამგეობამ კონტროლი უნდა უყოს, გადასინჯოს გზის ანგარიშთ-მსვლელობა და ჟურნალები გამამართლებელ დოკუმენტებითურთ.

=მმართებლობის განკარგულებით წარსული წლიდამ გამოიცა ახალი სახის ფოსტის მარკები და წარსულ წლებში გამოცემულთ ხმარება კი შეიძლება წლევანდელ წლის პირველს ივლისამდის. სამწუხაროდ, როგორც ყოველი ახალი განკარგულება, ესეც უკუღმა გაუგიათ ფოსტის ზოგიერთა კანტორებს, რომელნიც არ იღებენ თურმე გასაგზავნად ძველი სახის მარკებ-დაკრულს წერილებს. აუცილებლად საჭიროა, ამიერ-კავკასიის ფოსტის გამგეობამ დაუყოვნებლივ მოახდინოს განკარგულება მისს ხელ-ქვეშე მყოფ კანტორებში, რომ მათ, უმაღლესს მთავრობის განკარგულებისამებრ, ამ წლის პირველს ივლისამდის მიიღონ ხოლმე გასაგზავნად ძველი სახის მარკებ-დაკრული წერილები.

## წერილები რედაქტორთან

ამ ჩვენს დროს, როგორც მოგეხსენებათ, ყოველს დაწინაურებულს ერის ცხოვრებაში დაუღალავის შრომით და საოცარის ენერგიით მოქმედობს მოაზრე საზოგადოება, რომელსაც სულით და გულით სურს ხალხის ნივთიერი, გონებითი და ზნეობითი მდგომარეობის გაუმჯობესობა და წარმატება. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის სწავლა ბუკის ხმასავით გაისმის მთელს ევროპაში, რომ პირუტყვსავით მშრომელი ხალხის ბუნებას, ცხოვრებას მიეცეს სამართლიანი, ჭეშმარიტი და გონივრული სახე და მართლაც იქ, იმ ქვეყნებში, ხშირად ვხედავთ არამც თუ კერძო პირებს, არამედ ახალ-გაზდობის მთელს რაზმს, მკვიდრის და განუდრეკელის ხასიათით მიმავალს, რომელიც სიკვდილამდე ამ ერთს სწავლას ემსახურება და ამ ერთს აღნიშნულს საგნისადმი ილტვის. იქ ყოველგან დაბალი ხალხის ცხოვრების გასაფაქიზებლად, გასაფართოებლად, გასადიდებლად იღვწის და იბრძვის ყოველი პატიოსანი ადამიანი და რამდენიც დრო მიდის, იმდენი სიცოცხლე და ენერგია ეტყობა ამ [illegible], პირუთვნელს და [illegible] მოძრაობას. ეს მოძრაობა ცხადი ნიშანია იმისი, რომ დაბალი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობის აზრი მართლა საზოგადო, საერთო აზრად გამხდარა და თანამედროვე კაცობრიობის წარმატებაში ღრმა საძირკველი ჩაუდგავს.

ამ დროს, როდესაც სხვაგან ამნაირი მოძრაობა და გონივრული წარმატებაა, აქ, ჩვენში, ხალხის ნივთიერი საჭიროებისა და გონების გასაუმჯობესებლად არამც თუ „მოაზრე საზოგადოებისა“, არამედ კერძო პირის არსებობაც კი სამაგალითოდ მოსახსენებელია. აქ კაცი იშვიათად, შემთხვევით თუ წააწყდება სადმე ვისმეს, რომელიც ცოტად მაინც არის შესდგომოდეს ჩვენი მშრომელი ხალხის გაუკეთესების აზრს. აქ მხოლოდ კაცი აშკარად ჰხედავს საზოგადო საქმისადმი გულ-ქვაობას და გულ-გრილობას, ჭეშმარიტებისა და სათნოებისადმი წრეს გადასულს საზიზღარს, უხამსო დაცინვას და განკიცხვას. ჩვენში გონივრული კრიტიკის უალაგობისაგამო ხშირად ბინძურად ითელება ყოველი სიკეთე, ნამუსი, პატიოსნება და სინიდისი. ამ ნაირი ჩვენი ცხოვრება უნებურად ჩამოაშვებინებს კაცს ფრთებს, შესწყვეტს მასში გონიერის აზრის და ძლიერის ცხოველ-მყოფელის გრძნობათა აღტაცებას. მაგრამ ამ ჩვენს წამხდარს ცხოვრებაშიაც შესაძლებელი ყოფილა თითო-ოროლა კერძო პირის მოპოვება, რომელიც თავის დანიშნულებას, ხასიათს და მიმართულებას არ ღალატობს და ჰსურს, რომ თავის მოძმეს, მშობელ ხალხს სწავლითა და განათლებით შთაუდგას უკვდავი სურვილი უკეთესობისა და განახლებისა.

სწორედ ერთი ამ გვარი კერძო პირის კეთილის განზრახულების

---

თენებამდის ხტუნაობენ და მათი ნორჩი ქმნილება კი მახინჯდება ვილაც სოფლის დედა-კაცის ხელში.

ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენში ძრიელ იშვიათად შეხვდებით ისეთს ოჯახებს, სადაც ამ სულიერ საქმეს გონივრი გზა ჰქონდეს გაკვლეული; ვერ ნახავთ ისეთს ოჯახს (გარდა დაბალი ხალხისა), სადაც დედა თავის ტკბილს ძუძუსთან და ,,ნანას''-თან ჰნერგავდეს თავის შვილის ნორჩ გონებაში ყველა თავის კარგ ხასიათებს. შეიძლება ამაზედ ჩვენმა დედებმა თავი იმართლონ და სთქვან:—განა ჩვენ არა გვსურს, რომ ჩვენი შვილები გონივრად აღიზარდენ, მაგრამ რა ჩვენი ბრალია, თუ ამის მეტს ვერ ვახერხებთო. მართლაც, რა უნდა მოეთხოვოს იმ ახალგაზდა დედას, რომელსაც გიმნაზიაში ან ინსტიტუტში კურსი დაუსრულებია და თავის მოვალეობაზე ერთი ლექციაც არვისაგან მოუსმენია სასწავლებლის ოთხს კედელს შუა. რა გასამტყუნარნი არიან ჩვენი ახალგაზდა დედები, რომ შვილებს ვერ ზრდიან და ვერ უვლიან ისე, როგორც გონიერი პედაგოგია მოითხოვს, მაშინ როდესაც მათ ამისათვის სასწავლებლები სრულიადაც არ ამზადებენ? სად უნდა შეისწავლონ ჩვენმა დედებმა შვილის აღზრდა და მოვლა, თუ არა იმ ოჯახშივე, სადაც თვითონ დაბადებულან და აღზრდილან მამაპაპურის წესით და პედაგოგიით? ჩვენი მომავალი დედები მხოლოდ იმას ფიქრობენ თუ როგორ გაბედნიერდენ კარგის ქმრების შოვნით, თორემ მათ მომავალი მძიმე მოვალეობა ბევრად არაფრად აწუხებთ; და ან კი რომ შეიწუხონ თავი, რა გამოვა. ახალგაზდა დედა პირველი შვილის აღზრდის დროს გრძნობს მხოლოდ თეორეთიკულად და პრაქტიკულადაც თავის მძიმე მოვალეობის ასრულებას. აქ მხოლოდ ტყობილობს თავის ნაკლულევანებას, ცდილობს ყოვლის ღონის-ძიებით გაისწოროს ეს შეცდომები, მაგრამ ამ გვარ გასწორების დროს დიდი ვნება და ზარალი ეძლევა ყმაწვილის ოჯახურ აღზრდა-განვითარებას. ნუ თუ ყოველს გონებით გამწვრთნელ სულიერ ტაძარს—სკოლას არ უნდა ჰქონდეს დედა აზრად მის აღზრდილის მომავალი ასპარეზი? ნუ თუ ჩვენი საქალებო სასწავლებლები არა გრძნობენ მომავალ დედებისათვის იმ გონიერ საგნის შესწავლის საჭიროებას, რომელსაც ,,პედაგოგიას'' უწოდებენ? რა იქნება, რომ ჩვენს საქალებო გიმნაზიებში ამ საგანს უფრო ფართო გზა ჰქონდეს, ვიდრე უცხო ენებს, რომელნიც მხოლოდ ,,საფრანტოთ'' გამოადგებათ და არა სხვა რამე.

სკოლაში თეორეთიკულად მაინც უნდა ისწავლონ ჩვენმა დედებმა მათი მომავალი მოვალეობა—შვილის აღზრდა, მაგრამ. საუბედუროდ, ძლიერ მცირე ყურადღებას აქცევენ ქალების ამ მხრივ განვითარებას და მომზადებას. ჩვენ ვართ მხოლოდ მოკლებული ამ გვარ სასწავლებლებს, თორემ სხვა ქვეყნებში ყველგან არსებობს იმ გვარი სასწავლებლები, სადაც ქალები მზადდებიან თავიანთ მომავალ ასპარეზზედ სამოქმედოდ; მაგალ. საქალებო პედაგოგიური კურსები, სადაც ქალები მასწავლებლებად მზადდებიან და პედაგოგიას უფრო ვრცლად სწავლობენ. დიდი ხანი არ არის რაც ქ. გორში საქალებო პროგიმნაზია გახსნეს, სადაც, როგორც მახსოვს, გადაწყვეტილი იყო, რომ პროგიმნაზიაში კურსის დასრულების შემდეგ კიდევ უნდა დარჩენილიყვნენ ორ-ორი წელიწადს, რადგან ამ ორი წლის განმავლობაში უნდა პედაგოგიური განათლება და მომზადება მიეღოთ, რომ შემდეგ მომავალ ასპარეზზედ ადვილად შესძლებოდათ ყველა შემფერხებელ მოვლენათა დამორჩილება. რამდენად განხორციელდება ეს ფართო მოსაზრება,—მომავალზედ არის დამოკიდებული; ჩვენის მხრით კი სრულის თანაგრძნობით და სურვილით ვეგებებით მის განხორციელებას და ვისურვებთ მოეცეს ჩვენი ქვეყნისათვის ისეთი მომზადებული დედები, რომელთაც გაუწითლებლად შეეძლოთ ,,დედის'' სახელის ტარება.

თეოფ. ხუსკივაძე.

დ. ყვირალი.

შესახებ მსურს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა, ბატონო რედაქტორო, და იმედი მაქვს თქვენი, რომ შემდეგს სტრიქონებს მისცემთ ადგილს თქვენის პატივცემულის გაზეთის ფურცლებზე.

ტფილისში, როგორც გეცოდინებათ, აქვს ჩვენს მემამულეს, ახალს ღვინის გამკეთებელს თავ. ზ. ა—ძეს ჯორჯაძეს სარდაფები და ღვინის მაღაზია, სადაც ათზე მეტი ქართველი მუშა ბიჭი ჰყავს დაჭერილი, რომელთაც საკმაო ჯამაგირს და ხარჯს აძლევს. ამ მოჯამაგირე ბიჭებს მუშაობის შემდეგ დღეში რჩებათ რამდენიმე საათი თავისუფალი დრო, რომელიც, რასაკვირველია, შეიძლება მოახმარდეს სასარგებლო საქმეს. ეს გარემოება თ. ზ. ჯორჯაძეს მიუღია მხედველობაში და მოჯამაგირეებისათვის დაუარსებია სასარგებლო და ხალხის გონებისათვის გამოსადეგი ქართული წიგნების პატარა ბიბლიოთეკა, საიდგანაც წესიერად სარგებლობს ყოველი მისი მოჯამაგირე. ამასთანავე მას აქვს მათთვის გამოწერილი თქვენი დღიური გაზეთი ,,დროება“ და ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი ,,ნობათის“ გამოწერაც განუზრახავს. მუშები, რომელთაც ქართულად წერა-კითხვა იციან და ნაბეჭდი სიტყვის აზრს საკმაოდ არჩევენ, ნაშუადღევის ხუთ საათიდგან მოყოლებული, დრო-გამოშვებით. რასაკვირველია, ათს საათამდის სათვითაოდ კითხულობენ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთს, რომელთაც, უეჭველია, დიდი გავლენა ექმნებათ იმათ გონებაზე და ზნეობაზე. გარდა ამისა იმათ განსაკუთრებით უნდა ისწავლონ ცხოვრებაში გამოსადეგი, ღვინის კეთება, უნდა შეითვისონ ელემენტარული სამეურნეო ცნობები, რომელნიც უფრო საჭირონი არიან ჩვენი ხალხისათვის. ამისათვის მას ჰყავს დაჭერილი ღვინის კეთებაში დახელოვნებული ერთი ახალ-გაზდა, ქართველი ყმაწვილი კაცი ბ. დ. П—შვილი, რომელიც გონივრულის პედაგოგიის მიხედვით არჩევს და ასწავლის მათ ამისთანა ჩვენთვის სასარგებლო საქმეს, როგორც ღვინის კარგად გაკეთებაა. ამასთანავე მუშები სწავლობენ რუსულად წერა-კითხვას და საჭირო ანგარიშს, რადგანაც ჩვენი მდგომარეობა, იმათი სიტყვისა არ იყვეს, ამას მოითხოვს დღეს მათგან. უნდა თვალყური ადევნოს კაცმა, თუ როგორის სიხარულით კითხულობენ ისინი წიგნებს და როგორ კარგად უანბობენ ერთმანეთს მეორე დღეს წაკითხული წიგნის შანაარსს. ერთხელ ამ სტრიქონების დამწერს ჰქონდა შემთხვევა შემდეგი სასიამოვნო სურათის ნახვისა: ერთს საღამოს ერთი იმათგანი თავის ამხანაგებს უკითხავდა ჩვენი დიდი პოეტის Пл. ჭავჭავაძის პოემას ,,რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდგან“. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ კითხვამ ყველა მსმენელებზე. ჭაბუკი ახალგაზდა ბიჭები იგონებდენ ,,ალაზნის ველზედ“ ნახულს სურათებს და ბედკრული ჭაკოსა და მაქროს საუბარს სულ-განაბულნი ისმენდენ. ბოლოს, როდესაც მკითხველმა დაასრულა პოემა პოეტის სიტყვებით:

„და ამ ორს გულში რა გრძნობაც სდუღდა,
„წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“-ო

ყველას ცრემლები მოუვიდა თვალებში.

მგონია, ამ ფაქტს განმარტება აღარ უნდა; იგი თავისთავად იმდენს ამბობს, რამდენსაც ჩვენ ვერ გამოვსთქვამთ ვერც სიტყვით და ვერც გრძნობით. ამიტომაც აქ სწავლა-განათლების საჭიროებაზე და სარგებლობაზედ ლაპარაკს არა ვსთვლი საჭიროდ, რადგანაც ყველა ჩვენგანი ყოველს ნაბიჯზე ვხედავთ სწავლის შეძენის მოსურნეს, გონების განათლების მაძებარს, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს ამბავი ახალი მოვლენაა ჩვენში და როგორც პირველად განონილს ჯერ, უეჭველია, ჩვენი ყური არ შესჩვევია. ამისათვის, საჭიროა ამ აზრის ხანგრძლივი და ძალუმი მოქმედება, რომ ჩვენი გონება შეეთვისოს მას და ჩვენს ხორცსა და სისხლად გადავაქციოთ იგი. და როგორც მრთელს ცხოველს არსებას უნდა მეცადინეობა თავისი სხეულისა და გონების ავებულების გაუმჯობესობისათვის, ისე ჩვენ გვინდა აქედანვე მხნე, გონივრული მოქმედება, რომ გავუმართოთ თვალი იმას, რასაც მოაქვს ქვეყნის და ხალხის წარმატება... მე არ შემიძლია ახლა შევუდგე ამ ახალი მოთხოვნილების- და საჭიროების სარგებლობის განხილვას; ეს თქვენი საქმეა, ბატონო რედაქტორო, და, დარწმუნებულიც ვართ, რომ როდისმე თქვენის გაზეთის ფურცლებზედ წავიკითხავთ ამ საჭირო მოთხოვნილების საფუძვლიანს განხილვას.

აქვე უნდა გამეთავებანა ჩემი თქვენდამი მომართული წერილი, მაგრამ ერთი უკანასკნელი სიტყვა კიდევა მაქვს სათქმელი.

მე თამამად ვსთხოვ ყველას, ვისაც ტფილისში ან სხვაგან სადმე ჩვენი ქვეყნის ქალაქებში აქვს რაიმე სავაჭრო ადგილები გამართული და მოჯამაგირე ბიჭები ჰყავს დაჭერილი, რომ თავ. ზ. ჯორჯაძის მაგალითს წაბაძონ და ცოტაც არის ხალხის გონივრულს მოთხოვნილებას მისცენ ნოყიერი და სასარგებლო გონების საზრდო. მიაქციეთ, ბატონებო, თქვენი თვალი ამ სწავლის მწყურვალე ხალხს და ნუ დაზოგავთ მცირე წვლილს, რადგანაც ,,რასაც დასთესავთ თქვენია, რაც არა—დაკარგულია“.

თუ ეს ჩემი თხოვნის ხმა არ დარჩა ,,ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, როგორც ხშირად ჰხდება ხოლმე ჩვენში და ამ საქმეს მუყაითად მოკიდეს ხელი, მაშინ დარწმუნებული ვარ, ჩვენს ხალხს იგი დიდს სარგებლობას მოუტანს.

რომანოზ.

---

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს წერილს თქვენის გაზეთის დაახლოვებულს ნომერში. „დროების“ № 16-ს შინაურ ქრონიკაში დაბეჭდილი იყო ,,ხაშურიდან მიღებული ცნობა“ ვითომც მე წესიერებას ვარღვევდე, გაუკითხავად ვიჭერდე უცხო ხალხსა, პირქვე ვამხობდე უბრალოდ აშენებულს შენობებსა და არ ვაძლევდე ნებას მედუქნებსა ღორის ხორცის გაყიდვისას:

საუბედუროდ ჩემდა ბ. ცნობის შემატყობინებელი თავს არ იჩენს, რომ ვიცოდე რამდენად დასაჯერებელია მისი სიტყვა საზოგადოებისაგან. მე არ ვგონებ, რომ ხსენებული პირი არ ეკუთვნოდეს იმ კრების ერთ-ერთს წევრსა, რომლის წინაამდეგ მე ვარ დანიშნული ჩემის უფროსისაგან!

აი საქმე რაში მდგომარეობს:

,,დროების“ მკითხველთ კარგად უწყიან რომ, ვიდრემდის მე ,,ხაშურში“ მოვიდოდი, რა არა ხდებოდა აქა, და რას არ ჩადიოდენ! თითქმის ყველა თოკიდგან გამოქცეულნი, სამართლისაგან დასჯილნი, აქ იფარებდენ თავსა: ხაშური თითქმის ბუდედ იყო გადაქცეული ყველა ავაზაკებისა. კვირა არ გაივლიდა, რომ აქ არ მომხდარიყო ქურდობა, სახლებისა და დუქნების მტვრევა, კაცების ჩეხა, ცარცვა, კვლა და სხვა-და-სხვა... ყველა ამაებმა გამოიწვია ის რომ, გორის მაზრის უფროსმა, იშუამდგომლა უმაღლეს მთავრობისა წინაშე და ამ პატარა სოფელს ხაშურს დაუნიშნა საკუთარის პოლიციის მოხელე. ამ მოხელედ, ე. ი. პოლიციის პრისტავის თანამდებობის აღმასრულებლად დამნიშნეს აქ მე. ჩემის მოსვლის დღიდგან დღევანდლამდე აქ არაფერი შემთხვევა არა მომხდარა! (??) შემიძლიან დავამტკიცო მთელი ხაშურის კეთილ-სვინიდისიერ პირთაგან, რომ მე არა თუ წესიერება დავარღვიე, არამედ იგი დავიცევი.

რაც შეეხება უცხო ხალხის დაჭერაზედ, მე უარს არა ვყოფ,—მართალია, ვიჭერ და ვატუსაღებ იმ პირთ, რომელთაც, არა აქვთ ბილეთი, და შენიშნულნიც არიან დანაშაულობაში; მე ამას კანონიც მიბრძანებს და ამასთანავე ჩემს მოვალეობასაც ვასრულებ. დღესაც ჩემგნივ დატუსაღებულნი პირნი სასჯელს ქვეშ არიან.

რაც შეეხება ღორის ხორცის გაყიდვის აკრძალვასა ვაჭრებისთვის და შენობების პირქვე დამხობას, ეს შორს არის ჭეშმარიტებაზე. აქ ვერც ერთს დუქანს ვერ ნახავთ, რომ ღორის ხორცით არა ვაჭრობდეს, და ვერც ერთ ვაჭარზედ და ვერც ერთ შენობის პატრონზედ ვერ მიმითითებთ ხელსა, რომ მე ღორის ხორცის გაყიდვა ამეკრძალოს, და ან რომელიმე შენობა პირქვე დამემხოს.

პრაპორშჩიკი სეიდ ბოგატირევი.

1885 წ. იანვრის 26.
ხაშური.

---

## უცხოეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისი.** გაზეთებს არ მოუტანიათ ჯერ დაწვრილებითი ცნობანი გორდონის დატყვევებაზე. ჯერ-ჯერობით ძნელად დასანდობია თვით დეპეშით მოტანილი ამბავიც, რომ გორდონი შეიპყრა მაჰდიმაო, რადგან ამ შორეულ მხრიდამ არა ერთხელ მოსულა სულ ერთი-მეორის წინაალმდეგი ცნობანი გორდონისა და ამის ხელ-ქვევით ჯარის მდგომარეობაზე. ამ ჟამად (თუ მართალია გორდონის შეპყრობა) ყველა იმას ჰკითხულობს, როგორ მოექცევა მაჰდი გორდონს. აასრულებს თუ არა ეს ცრუ წინასწარ-მეტყველი თვის მუქარას—თუ ვიგდე ხელში ის გორდონი — ცოცხლად გავატყავებო — თუ ინგლისისაგან მოითხოვს დიდს სასყიდელს გორდონის გამოსყიდვისათვის.—ინგლისის ჯარს სუდანში უფრო საქმეს უჭირვებენ წვრილ-წვრილნი რაზმნი მაჰდის ჯარისა და უმეტესად არაბნი. ამ არაბების რაზმთან შეტაკების დროს მეტამმესთან დაიჭრა მძიმედ გენ. სტიუარტი, რომელიც გორდონის მისაშველებლად მიდიოდა ხართუმში. ამავე შეტაკებაში მოკვდარა ორი ინგლისური გაზეთის კორესპონდენტი.

— მთელს ინგლისში მოდებულია მუშა-ხალხის სიმშილობა. ლონდონის უმთავრესი ქუჩები გაჭედილია თურმე აუარებელი ხროვით მუშებისა, რომელნიც, გაბრაზებულნი გაჰყვირიან: ,,მოგვეცით საქმე! ჩვენ გვშიან! ვიხოცებით სიმშილით!“ დამშეული, უსაქმო ხალხი თან დაათრიალებს დროშებს, სადაც გამოსახულია თურმე ორი გადაჯვარადინებული ძვალი და ზედ კაცის თავი ლონდონის პოლიციას ისეც ჯაფით დაქანცულს ამ უკანასკნელ ხანებში მოდინამიტეთა წყალობით აღარ ეჭირვებოდა კიდევ ამ ახალი ჯაფის მომატება. გაბრაზებული ხალხისაგან ძლივს იცავს პოლიცია მმართებლობის შენობათა და მაღაზიებს. ერთს ადგილს ხალხმა შეამჩნია ლორდ-მერი, რომელსაც რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ეს არ დააცალეს მას და მიაძახეს: ,,მოგვეცით პური, სირცხვილი მმართებლობას, რომელიც სიმშილით ჰხოცავს ხალხს!“

ერთს ამერიკულს გაზეთში დაბეჭდილია პარიჟიდამ გაგზავნილი დეპეშა, რომლიდამაც სჩანს, რომ ლონდონის უკანასკნელი აფეთქებათათვის მომზადება პარიჟში ხდებოდა ერთს ირლანდიელის სადგომშიო.

**გერმანია.** ბერლინიდამ სწერენ გაზ. ,,Germania-ში“ რომ დრეზდენის პოლიციას განზრახვა აქვსო განდევნოს ყველა ჩეხელები ამ ქალაქში მცხოვრებნი, რადგან მათ ბრალდებათ ნიჰილისტური და სოციალისტური აზრების გავრცელება.

თუ ბისმარკს მოუვიდა აუარებელი თანაგრძნობითი წერილები შესახებ

იმ შეტაკებისა, რომელიც მას ჰქონდა ახალს რეიხსტაგთან, არც მისი მოწინააღმდეგე ვინდჰორსტი დასტოვეს გულნაკლულად მისმა ჰომხრეებმა. ამ მეთაურს ბისმარკის მოწინააღმდეგე დასისას გერმანიის რეიხსტაგში მოსვლია 6,500 პირისაგან ხელ-მოწერილია ადრესი, რომლითაც ამკობდენ ამ ორატორის მოქმედებას უკანასკნელ რეიხსტაგის სხდომების დროს. ვინდჰორსტს შემდეგის სიტყვებით უპასუხნია ამ პირებისათვის: «იმ გახშირებული წინააღმდეგობის გამო, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში უწევენ ჩვენს დასს და კერძოდ მე, თქვენს ადრესს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი დაანახვებს ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რომ მათი ცდა იმ კავშირის დარღვევისთვის, რომელიც დამკვიდრებულა ცენტრის ამომრჩეველთა და მათ ამორჩეულთა შორის—ტყუილია. ის კი არა თუ, ამ გვარის წინააღმდეგობით ჩვენი კავშირი უფრო მკვიდრი ხდება. ერთგულად დავიცვათ ჩვენი ერთობა, მაღლად გვეჭიროს სამარადისოდ ჩვენი დროშა და ღვთის შემწეობით დავამთავროთ საქმე გამარჯვებისა».

ავსტრო-ვენგრია. იანვრის 29, რეიხსრატის სხდომაზე დეპუტატს შენერერს განუცხადებია, რომ აეკრძალოთ კორესპონდენტებს და რეპორტიორებს რეიხსრატის სხდომებზე დასწრება, რადგან ესენი ტყუილ ცნობათ იწერებიან გაზეთებში და მით აღელვებენ საზოგადოებასაო. პალატის თავსმჯდომარეს სმოლკას პატივდებაში მიუღია ეს წინადადება და მაშინათვე მოუხდენია განკარგულება ამ საქმის თაობაზედ. მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც არც ერთი გაზეთის თანამშრომელი არ გამოცხადებულა, და ყველა მათგანს განუზრახავთ პროტესტის განცხადება ესეთს განკარგულებაზე, პალატის პრეზიდენტს განუცხადებია, რომ გუშინ კარგად ვერ გავიგონე ბ. შენერერის წინადადება და ეხლა არ ვეთანხმები მას და ვკიცხავ კიდეცაო. შენერერს უთქვამს—მე ყველა გაზეთის თანამშრომლებზე კი არა, მხოლოდ ზოგიერთებზე ვსთქვიო. მაგრამ კორესპონდენტები არც მესამე სხდომაზე გამოცხადებულან და გაზეთებში არავითარი ანგარიში არ არის მოყვანილი რეხსრატის სხდომებზედ.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

იანვრის 28-ს

სუაკიმ. იტალიის სამმა გემმა ღუზა ჩააგდეს მასოვის ნაპირებთან და გადასხეს ჯარები და მატროსები; ეგვიპტის ნაპირზე იტალიის დროშა არის ამართული.

პარიჟი. გენერალმა ბრიერმა დათარეშების საშუალებით აღმოაჩინა, რომ ჩინელები დანგსონიდან ლანგსონისაკენ მიდიან.

ლონდონი. ხმებია, რომ ინგლისიდგან ბერბერში იგზავნებაო რვა ათასი ჯარის კაცი გენერლის ნიედეგსტის მხედართ-მთავრობით, და განკარგულებაც არის მომხდარი რომ გაიგზავნოს ეგვიპტაში შვიდი ბატალიონი ქვეითის ჯარისა, რომლის ერთი წილი იმყოფება მალტასა და გიბრალტარზე. გარდა ამისა იგზავნება ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი კიდევ და ერთი ცხენოსანი პოლკი.

იანვრის 29-ს

პეტერბურგი. საადგილ-მამულო ურთი-ერთ შორის კრედიტის საზოგადოების უკანასკნელს კრებაზე გარდაწყვიტეს, რომ მიენდოს გამგეობას მეტალიური სესხის სავალდებულო რაოდენობის შემცირება ერთს პროცენტამდე. აგრეთვე მიენდოს გამგეობას ზრუნვა, რომ მომავალში გამოსაცემ კრედიტის ბილეთები მმართებლობამ ითავდებოს. თუ ვინიცობაა ეს თავდებობა არ მოხერხდა, გადასწყვიტოს განიხილონ 5% გირავნობის ფურცლების გამოცემის საქმე პრემიებითურთ. ,,ს. პეტერბურგის უწყებები ამბობს, რომ აგრეთვე ცდილობდენ ამ საზოგადოებისა და მოსალოდნელ სახაზინო საადგილ-მამულო ბანკის მოღვაწეობა'' შეეერთებინათ, მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაუარათო.

,,ნოვოე ვრემია'' ამბობს, რომ გადაწყვეტილია აგვისტოში იმპერატრიცის მარიამის უწყების ინსტიტუტებში მიიღონ კონკურსის ეგზამენით არმიის ოფიცრების ასი ქალი სრულის ხარჯით.

ლონდონი. მოდინამიტეების კენინგამისა და ბერტონის საქმეში აღმოაჩინეს, რომ მხოს ყოფნას ლონდონში ყოველთვის ზედ-ერთვოდა მოდინამიტეთა შეთქმულობა. ბერტონს უპოვნეს კიდეც კანონ-მდებელ პალატთა პლანი. სასამართლოს გარჩევა ერთი კვირის ვადით გადასდვეს.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც ტფილისს მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 ასსათამდინ. საზებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიულ ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## განცხადებანი

UN FRANÇAIS

Professeur de langue et de littérature françaises désire donner des leçons.

S'adresser: Librairie Boerenstamm

(10—4)

მუზეუმი ვინტერისა

გოლოვინის პროსპექტზე, ფოსტის შენობის მახლობლად.

გაღებულია სანახავად საზოგადოებისაგან დილის 10 საათიდამ სალამოს ათამდის.

მხოლოდ მოკლე ხნით რჩება თბილისში.

შესვლის ფასი ყველა განყოფილებაში და ანატომიურს კაბინეთში შემცირებულია აბაზამდის; ბავშვები და მხედრობის დაბალი ჩინები იხდიან ორს შაურს.

(2—1)

SOCIÉTÉ FRANÇAISE DE BIENFAISANCE

# BAL

Paré et costumé

Donné le lundi, 4 fevrier dans la salle du Kroujok au profit des pauvres de Tiflis et de la Caisse de la société française de Bienfaisance.

Prix d'entrée

Dames: — — — 2 roubles

Cavaliers — — — 3 roubles

On trouve des billets à la caisse du Kroujok et dans tous les magasins français.

ინგლისური რკინის საწოლები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საყარაქე, სამაჭრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, საძმეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, შიფები, ზარიდები, კაპსიულები, ხათანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მუშაბები, ვამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—80)

ამა 1885 წლის იანვრის 24 რიცხვიდან

## ქ. ფოთში

ვაღებ საკომისიო კანტორას და ვღებულობ ყოველ-გვარ საქონელს გასაგზავნად და გასასყიდად კომისიით. იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს და დარჩება კიდეც ჩემგან ყოველის მხრით კმაყოფილი.

მეორე გილდიის ვაჭარი

სპირიდონ ზაქარიას-ძე ხვიჩია.

(3—3)

ფრანცუზების საქველმოქმედო საზოგადოება

# ბალი

კოსტიუმებით

გამართული იქნება ორშაბათს, თებერვლის 4-ს კრუჟოკის ზალაში თბილისის ღარიბებისა და ფრანცუზების საქველმოქმედო საზოგადოების კასის სასარგებლოდ.

ფასი ბილეთებისა:

ქალებისათვის — — 2 მანათი

კავალრებისათვის — 3 მანათი.

ბილეთების ყიდვა შეიძლება კრუჟოკის კასაში და ყველა ფრანცუზების მაღაზიებში. (5—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 29 Января 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი